პირველი მატჩი

სოხუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). 20 მარტს თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა აქ ჩაატარეს პირველი საწვრთნელი მატჩი "ა" კლასის გუნდთან. მათი მოწინააღმდეგე იყო ლენინგრადის "ადმირალტეეცი".

მატჩი საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. ანგარიში გახსნეს თბილისელებმა, მაგრამ მალე "ადმირალტეეცი" წინ იყო ანგარიშით 2:1. ტაიმის დასასრულს დინამოელებმა მარცხენა ფრთაზე გათამაშებული კომბინაცია დაამთავრეს გოლით - 2:2.

მეორე ტაიმში კურტანიძემ გაიტანა გადამწყვეტი გოლი და თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. "დინამო" თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, სიჭინავა (იამანიძე, გრამატიკოპულო, ბარქაია, კურტანიძე, ღოღობერიძე, მესხი.

ამავე გუნდების მეორე შემადგენლობათა შეხვედრა აგრეთვე მოიგეს თბილისელებმა - 3:0.

"ლელო", 22 მარტი, 1960 წ.